გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა ამცირებს ავად გახდომის რისკს ორსულობისას და იცავს ახალშობილს, მაგრამ არც ერთი ვაქცინა არ იცავს 100%-ით.

მნიშვნელოვანია მიმართოთ თქვენს ექიმს ან მეანს, თუ გამოგივლინდათ გრიპის მსგავსი სიმპტომები, მიუხედავად იმისა, ჩატარებული გაქვთ თუ არა ვაქცინაცინაცია.

ვაქცინაცია უსაფრთხოა!

2017 წ.

გრიპს შეუძლია მოგაყენოთ სერიოზული ზიანი თქვენ და თქვენს მუცლად მყოფ ბავშვს

ჩაიტარეთ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

ვაქცინაცია უსაფრთხოა!

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

გრიპს შეუძლია მძიმე ზიანის მოყენება როდესაც ორსულად ხართ

ორსულები, გრიპის დროს, სხვა ჯანმრთელ მოზრდილებთან შედარებით იმყოფებიან სერიოზული გართულებებისა და ჰოსპიტალიზაციის მაღალი რისკის ქვეშ. ეს დაკავშირებულია იმუნური სისტემის დროებით ცვლილებებთან, რაც ორსულებს დაავადების მძიმე ფორმებისადმი უფრო მიდრეკილს ხდის.

ახალშობილისთვის გრიპი შესაძლოა გახდეს პრობლემა, რადგან მათი იმუნური სისტემა ჩამოყალიბებული არ არის. ორსულობისას გრიპმა შესაძლოა გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა ან წონანაკლული ახალშობილის დაბადება.

რა არის გრიპი?

გრიპი ინფექციური დაავადებაა, რომელიც ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა ცემინების, ხველების ან ახლო კონტაქტისას. გრიპის ეპიდემია, როგორც წესი დაკავშირებულია ზამთრის სეზონთან. გრიპის სიმპტომები იწყება უეცრად და გრძელდება რამოდენიმე დღიდან 2 კვირამდე.

ძირითადი სიმპტომებია:
ცხელება, შემცივნება, ხველა, თავის და კუნთების ტკივილი.

ადამიანთა უმრავლესობა სწრაფად გამოჯანმრთელდება, თუმცა გრიპმა შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული გართულებები: პნევმონია, ბრონქიტი და გარდაცვალებაც კი.

სეზონური გრიპის ვაქცინაცია ორსულობისას საუკეთესო არჩევანია დედისთვისაც და ბავშვისთვისაც!

სეზონური გრიპის ვაქცინაცია უსაფრთხოა ორსულობის ყველა ეტაპზე. მსოფლიო მასშტაბით მილიონობით ორსული იცრება ყოველწლიურად და დამტკიცებულია, რომ ვაქცინა უსაფრთხოა ორსულებისთვის.

ორსულობის პერიოდში ჩატარებული ვაქცინაციისას ბავშვს გადაეცემა იმუნიტეტი, რაც იცავს დაბადებიდან 6 თვის განმავლობაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პირველი 6 თვის განმავლობაში შეუძლებელია ბავშვის ვაქცინაცია.

ვაქცინაციის გვერდითი ეფექტები შეიძლება გამოვლინდეს აცრიდან 24 საათის განმავლობაში და გამოხატულია მსუბუქად მიმდინარე გრიპისმაგვარი დაავადებებისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით.

გრიპისგან განსხვავებით, ვაქცინაციის გვერდითი ეფექტები მსუბუქია და სწრაფად ქრება.